განმარტება მოსაკრებელზე

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დაანგარიშებულია +0.00 ნიშნულის მთელ პერიმეტრზე და გადახდილია პირველადი პროექტის შეთანხმებისას AR1797205 (AR1738728 განუხილველ განცხადებაში).

23.06.2023 შეტყობინების პასუხში თქვენ ითხოვთ ბაქნის იატაკის კ2-ში ანგარიშს და ამბობთ რომ წინა კორექტირებაში AR1939129 იმიტომ არ მოგეთხოვათ, რომ ბაქნის ქვეშა სივრცე არასრული სართული იყოო. გაცნობებთ, რომ ბაქნის ქვეშა სივრცე თავიდანვე პირველად პროექტში ნაანგარიშევია კ-2ში და ბაქნის დამატების დროინდელ კორექტირებაშიც. ამიტომ ნიშნულის აწევით არაფერი იცვლება.

არასრულ სართულთან დაკავშირებით თქვენი მსჯელობა არასწორია ვინაიდან მოწყობილობების ბაქანი არ ითვლება სართულად არც ფართობი ენიჭება და ასევე თუ არასრულ სართულზეა საუბარი მას ფართობის ½-ით ეკუთვნის კ2-ში შეყვანა. ამიტომ მოგახსენებთ, რომ პროექტის წინა ვარიანტი სწორად იქნა განხილული და შეთანხმებული.

კვლავ შეგახსენებთ, რომ 41-ე დადგენილების 505.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილობების ბაქნები არ ითვლება მათ ქვემოთ მდებარე იატაკის ნაწილად და ის არ შედის არც შენობის ფართობში და არც სართულების რაოდენობაში. არასრულ სართულში კი არა საერთოდ სართულად არ ითვლება. 14-39-ის კ-2-ის განმარტებაში კი მოწყობილობების ბაქნები არ იანგარიშება.

აქედან გამომდინარე მოწყობილობების ბაქანი კ2-ის საანგარიშო ფართობში არაა შესაყვანი.